პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 284 (20825) — კვირა, 11 დეკემბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

გუშინ, 10 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა დიდი გლოვით აღნიშნეს ჩვენი ქვეყნის საერთო მწუხარება სომხეთში მომხდარი ტრაგედიის გამო.

მილიონობით ადამიანთა თანაგრძნობა მოძმე სომხეთისადმი კიდევ ერთხელ ადასტურებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მტკიცე ერთიანობას.

სსკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შესახებ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სომხეთის სსრ-ის ტერიტორიის მთელ რიგ რაიონებში მოხდა მიწისძვრა, რომელსაც უალრესად ტრაგიკული შედეგები მოჰყვა. ერევნის სეისმიური სადგურის მონაცემებით, მიწისქვეშა ბიძგების ძალა ეპიცენტრში ქ. ლენინაკანის მიდამოებში 10 ბალს აღწევდა. ესოდენ ძლიერი მიწისძვრა ამ მიერკალასიაში დაკვირვების მთელი პერიოდის მანძილზე არასდროს არ აღნიშნულა.

სტიქიურმა უბედურებამ მოიცვა ტერიტორია, სადაც ოფიციალური მონაცემთა მიხედვით, 700 ათასს აღემატება. არანაკლებ ათასობით დაღუპული, ათიათასობით დაშავებული, ასიათასობით კაცი უსახლკაროდ დარჩა.

სტიქიამ ყველაზე სასტიკი დარტყმა მიაყენა ქალაქებს ლენინაკანს, სპიტაკს, კიროვაკანს და ტაშირს. ლენინაკანში დაინგრა საცხოვრებელი, სამსახურებრივი და საწარმოო შენობების 70 პროცენტზე მეტი. მიწისთან არის გასწორებული 120 შენობა. 1100-ვე საკუთარი სახლი დაზიანებული ან ნაწილობრივ დანგრეულია. მწყობრიდან არის გამოსული სამრეწველო საწარმოები — საფეიქრო კომბინატი, მაგნიტსადენისა და ელექტროსპიდის ქარხნები და სხვები.

პრაქტიკულად მთლიანად დაინგრა ქალაქი სპიტაკი და მისი რაიონის სოფლების უმრავლესობა.

კიროვაკანში, სტეფანავანში, ახურიანის რაიონში და სხვა ადგილებში დაინგრა ასობით მრავალსართულიანი შენობა. საკუთარი საცხოვრებელი სახლი, ცხოვრების უზრუნველყოფის ობიექტები.

ყველგან დაზიანდა საავტომობილო გზატკეცილები და რკინიგზები, მწყობრიდან არის გამოსული ენერგოუზრუნველყოფის, სატელეფონო ელექტრონული, საგზაო და კომუნალური ეკონომიის ობიექტები.

უბედურების რაიონში მოქმედი სსკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისია, რომელსაც სათავეში უდგას სსკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, ეფექტიანად ეწევა ამ საბჭოთა ორგანოებთან ერთად ახორციელებს სასწრაფო ღონისძიებებს ადგილზე და აღდგენითი სამუშაოების მთელი კომპლექსის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე კოორდინაციას უწევს საკავშირო მასშტაბით რესპუბლიკის დახმარების ღონისძიებებს, უწინარესად მიმდინარეობს ადამიანთა გადარჩენის, სამედიცინო დახმარების გაწევის, ბინით, საჭმელ-სასმელით, თბილი ტანსაცმლით უზრუნველყოფის სამუშაოები. დაზარალებულთ უწევენ მატერიალურ დახმარებას. მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში აქტიურად მონაწილეობენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამოქალაქო თავდაცვის ქვეგანყოფები.

ამ განსაცდელის ჟამს უბედურებას, რომელიც სომხეთს დაატყდა, მთელი ჩვენი ქვეყანა იზიარებს. მშრომელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან შემოსულ მრავალ წერილში და დეპეშაში გამოთქმულია თანაგრძნობა და სამძიმარი სომეხი ხალხისადმი. მოკავშირე რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში ბევრ საწარმოში მიღებულია გადაწყვეტილება ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მოძმე სომხეთს. უბედურების რაიონში იგზავნება მძლავრი თანამედროვე ტექნიკა, ვერტმფრინავები, ავტომანქანები, ბულდოზერები, ჩაქანთ ასაწყობი სახლები და კარვები. აქ სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოვიდა ასობით ექიმი და სხვა სამედიცინო მუშაკი, ჩამოტანილია მედიკამენტებისა და დონორთა სისხლის დიდი პარტიები. მეზობლების უბედურებას ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ აზერბაიჯანისა და საქართველოს მშრომელები. მათ სომხეთში მიავლინეს მშენებლები, მემონტაჟეები, მედიკოსები, გაგზავნეს სურსათ-სანოვაგე, დიდძალი ნავთობპროდუქტები, მოძრავი ავტოსაწყობი სადგურები, გამოუყვეს სანატორიუმები და პანსიონატები დაზარალებულთა მისაღებად.

ყოველივე ეს ნათლად გამოხატავს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა დიდ მეგობრობას, მზადყოფნას — ყოველ წუთს გაუწიოდონ ერთმანეთს ძმობისა და დახმარების ხელი.

უბედურებას, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაატყდა თავს. იზიარებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხები. მთელი რიგი სახელმწიფოების მთავრობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოგზავნეს სამძიმარი და განაცხადეს, რომ მზად არიან გაგვიწიონ დახმარება.

მ. ს. გორბაჩოვი სომხეთს გაემგზავრა

10 დეკემბერს სსკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან სომხეთს გაემგზავრა.

(საკდესი).

მოძმე სომხეთის დასახმარებლად მოწყობილი საბათობის შედეგები

სომეხი ხალხისადმი ღრმა თანაგრძნობითა და ძმის უბედურების გამო დიდი გულისტკივილით აღსავსე საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად მიღეს გადაწყვეტილება 10 დეკემბერს შაბათს ემუშავათ თავიანთ სამუშაო ადგილებზე და გამუშავებული თანხა გადაერიცხათ მინისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

წინასწარი მონაცემებით, რესპუბლიკაში ამ დღეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის 300-ზე მეტ სანარმოსა და ორგანიზაციაში 250 ათასზე მეტი კაცი მუშაობდა. მათ გამომუშავეს და მომავ რესპუბლიკის დახმარების ფონდში გადარიცხეს დაახლოებით ორი მილიონნახევარი მანეთი. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ქალაქ თბილისის, რესპუბლიკის სხვა ინდუსტრიული ცენტრების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა.

რესპუბლიკის მრავალი რეგიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს 17 დეკემბერსაც მოაწყონ შაბათობა და სამუშაოდ გავიდნენ მოძმე სომხეთის დასახმარებლად.

(საკინფორმი).

სომხეთის სსრ. 10 დეკემბერს სომხეთში, უბედურების რაიონში, ჩავიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი. იგი ეცნობა, როგორ მიმდინარეობს მაშველი სამუშაოები და როგორ ეხმარებიან დაზარალებულებს.

სურათზე: ლენინაკანში ყოფნის დროს.

საკდეს-საკინფორმის ტელეფოტო.

ზრუნვისა და პასუხისმგებლობის ეპიცენტრში

7 დეკემბერს სომხეთის მთელ რიგ ჩრდილოეთის რაიონებში მომხდარი დამაგრავეული მიწისძვრის ეპიცენტრი ამ დღეებში ადამიანთა ზრუნვის, აქტიური გულშემატკივრობისა. და პასუხისმგებლობის ნამდვილი ეპიცენტრი გახდა. მთელი ქვეყანა მონაწილეობს მაშველ და აღდგენით სამუშაოებში, დაზარალებულთათვის დახმარების გაწევაში. ამ საქმიანობას კოორდინაციას უწევს ცენტრალური კომიტეტის სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხელმძღვანელება და სომხეთის სსრ ხელმძღვანელობა, მომთხოვნელად გაანალიზეს წინა ღამით დასახული სამაშველო ამოცანათა შესრულება, შეაჯამეს ღამის სამუშაოთა შედეგები, განსაზღვრეს შემდგომი გადაუდებელი მოქმედება. მთავარ ამოცანად, როგორც კვლავ აღინშნა, რჩება ნანგრევებისა და ხერგილების უსწრაფესი ალება. მათ ქვეშ შეიძლება კიდევ იყვნენ ცოცხალი ადამიანები — წინა ღიდი, მაგალითად, საბჭოთა არმიის მეომრებმა საწარმოო შენობის ადგილას ერთ-ერთი ჩამონაქცევის აღებისას 200 კაცი ამოიყვანეს და გადაარჩინეს. გადაარჩინეს ცოცხები, მთლიანად ამოიღონ დაღუპულთა გვამები — აქ თითოეული წუთი ძვირად ფასობს. უდიდესი თავდადებით იბრძვიან საბჭოთა არმიის მეომრები, რომლებიც ორად აგდებენ უძილობასა და დაღლილობას, ნამდვილ ჰუმანურ გმირობას, აგრეთვე ადგილობრივ მეცხოვრებთაგან, ერევნიდან, სხვადასხვა ქალაქიდან და რესპუბლიკიდან ჩამოსულ ახალგაზრდათა მოხალისეთა თანაშემწეობა. მხლოდ მას შემდეგ, რაც ნანგრევებს აიღებენ, ამოიკვლევენ იმათ, ვინც შეიძლება კიდევ ცოცხალი იყოს, და დასაფლავებენ დაღუპულთ, შეიძლება დაიწყოს დაზარალებული ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა ენერგიული ეკავკაცია და გეგმაზომიერი მუშაობა შენობების, საინჟინრო ქსელების, წყალსადენის, ელექტრომომარაგების აღდგენისა და რემონტისათვის.

ჩამოყალიბდა კომპლექსური ბრიგადები სადღეღამისო სამუშაოებისათვის. ჩამოვიდა 450 სამომაშველი. ფართოდება სახლთაგარეთის დახმარება, უბედურების რაიონებში ჩამოვიდა 60 ფრანგი სპეციალისტი, რომლებიც შეასრულებენ სამთო სამუშაოებს. 11 დეკემბრისათვის ჩამონაქცევების გაწმენდაზე უკვე სულ ცოტა 500 ავტომაწე იმუშავებს.

ამავე დროს კომისიის სხდომაზე მწვავედ გააკრიტიკეს რესპუბლიკური ორგანონები, რომლებიც საკმაო ტემპით არ უზრუნველყოფენ დაზარალებულთ დროებითი საცხოვრებლით, კვების, სასურსათო საქონლის ვაჭრობის პუნქტების ორგანიზაციას. სხდომაზე მოითხოვეს ღონე ვანმაკონაცხა ძირფესვიანად შეიცვალოს მდგომარეობა.

შემდეგ გაიმართა თათბირი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების იმ მოადგილეებთან, რომლებიც მშენებლობის საკითხებს განაგებენ. ყველა მომმე რესპუბლიკის ხალხთა კეთილმობილურ, ჰუმანურ მოსწრაფებას, ყოველმხრივ დაეხმარონ სომხეთს, ექმნება რეალური პროგრამა. თითოეული რესპუბლიკა მონაწილეობას მიიღებს ლენინაკანში, კიროვაკანსა და სპიტაკში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში, სარემონტო-აღდგენით სამუშაოების, მშენებლობაში, შექმნის აქ საკუთარ სამშენებლო ბაზას. სოფლად სარემონტო-აღდგენით სამუშაოების შესრულება დაეკისრათ სსრ კავშირის სახაგრორეზერვისა და სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციებს. დასახულია ამოცანა უფრო აქტიურად ჩაიაბა აღდგენის ოპერაციებში საკავშირო სამინისტროებები და უწყებები, რომელთა საწარმოები ორგანიზებენ და ორგანიზაციები განლაგებულია დაზარალებული რაიონების ტერიტორიაზე.

ორ წელიწადში მოკავშირე რესპუბლიკები აქ აშენებენ დაახლოებით 5 მილიონ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ სახლებს, აგრეთვე სკოლებს, სბავშვო ბაღებს, საავადმყოფოებსა და სოციალურ-კულტურული სფეროს სხვა ობიექტებს.

იმავე დღეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები მომავალი მშენებლობის რაიონებში გაეგზავნენ. რეალური ვითარების გათვალისწინებით სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიამ უბრალოდ ყოფნისიებათა შორის განსაზღვრა აგრეთვე დაზიანებული ავტოგზატეკილებისა და რკინიგზის უბნების აღდგენა, ტრანსპორტის მოძრაობის მუშაობა ორგანიზაცია, ავიაციის შეუფერხებელი მუშაობა საშენი ტექნიკის, სურსათის, პირველი საჭიროების საქონლისა და მედიკამენტების მისაწოდებლად. გათვალისწინებულია უბედურების რაიონებში ჩამოსული ბრიგადების დაბინავება და იქიდან ბავშვების ევაკუაცია.

სკკის უფრო მწყობრი ორგანიზაციისათვის გადაწყდა ქალაქებში სპიტაკში, ლენინაკანსა და კიროვაკანში შეიქმნას საკოორდინაციო ოპერატიული შტაბები. შტაბების შემადგენლობაში შევლენ ამ ქალაქებში დისლოცირებული ჯარის ნაწილების მეთაურები, ტრანსპორტის, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელები. შტაბების გაძლოლა პერსონალურად დაეკისრათ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს.

გვიან საღამოს სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიამ შეაჯამა 9 დეკემბრის მაშველ-აღდგენითი სამუშაოების შედეგები. ალინშნა მათი ტემპისა და მასშტაბის ზრდა. აღდგენილია, კერძოდ, რკინიგზის მოძრაობა ლენინაკანისა და სპიტაკისაკენ. ლენინაკანის საგდგურმა მიიღო პირველი ტვირთიანი ეშელონები. მიმდინარეობს საავტომობილო ხიდების და გვირაბების აღდგენა, ლიანდაგი თავისუფლდება კაჭრებისაგან, იწმინდება დამეწყრილი ადგილები. მოწესრიგებულია მოძრაობა სპიტაკსა და ლენინაკანში მიმავალ გზებზე, რათა ტექნიკით, სურსათითა და პირველი საჭიროების საგნებით დატვირთული საავტომობილო კოლონებისათვის უზრუნველყონ „მწვანე ქუჩა“.

უბედურების რაიონში ჩამოვიდა ორი დამატებითი სანიტარო პოლკი და რკინიგზელთა ბრიგადა. მათი პირადი შემადგენლობა მაშინვე ჩაება საქმეში. უახლოეს დღეებში კიდევ 5 პოლკი ჩამოვა. ჯარის ნაწილებმა მოსახლეობისათვის შექმნეს ცხელი კვების პუნქტები. დიაწყო წყალსადენის, ელექტროგასათვის, სატელეფონო კავშირის აღდგენა.

სკკის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიამ დაგეგმა განმეორებითი ჩასვლა უბედურების რაიონებში, რათა ადგილზე შეამოწმოს დასახული ამოცანების შესრულების ვადა და მთლიანად მაშველ-აღდგენითი სამუშაოების შესრულების მიმდინარეობა.

რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც გრძნობენ მთელი ქვეყნის, მილიონობით საბჭოთა ადამიანის ძმურ დახმარებას, ცხოვრობენ ერთი მიზნით — საერთო ძალისხმევით დაძლიონ მრისხანე უბედურება.

(საკდესი).

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში არსებითი როლი განეკუთვნება სამედიცინო სამსახურს, მასზეა დამოკიდებული ადამიანთა სიცოცხლე. ეს განაცხადა 9 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეესცენტრში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ი. ნ. დენისოვმა გაერთიანებულ ბრიფინგზე, რომელიც მოაწყვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ინფორმაციის განყოფილებამ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველომ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ახლა სომხეთში მუშაობს სომეხი ექიმებისაგან ჩამოყალიბებული 100 სამედიცინო რაზმი და პრაქტიკულად ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან ჩამოსული ექიმთა 70 რაზმი. ჰოსპიტალიზებულია 5000-ზე მეტი დაშავებული, დაახლოებით 2,5 ათასი — უმეტესობა ერევანში. სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის მოსკოვსა და ლენინგრადში, დაშავებულთა მიღებისათვის მომზადებულია 5 ათასზე მეტი საწოლი.

მთელ ქვეყანაში, თქვა შემდეგ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, მიმდინარეობს სისხლის ნებაყოფლობით ჩაბარების კამპანია. მის გაჭანგის მოწმობს ასეთი ფაქტი: ჩვეულებრივ დღეებში მოსკოვში აბარებენ 100 ლიტრს სისხლს, ხოლო უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში შემოსულია 1000 ლიტრი. ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხის, გაცემისას მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირის სისხლის გადასასხმის ყველა პუნქტი ლუბერეცოა ტესტსისტემებით შიდსის დიაგნოსტიკისათვის და ყველა დონორი შემოწმებას გადის. მან განაცხადა აგრეთვე, რომ მრავალი სახელმწიფოსა და მთავრობის ხელმძღვანელებისაგან მიღებულია წერილები და დეპეშები, რომლებშიც გვთავაზობენ დახმარებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ინფორმაციის განყოფილების გამგემ ლ. ა. ვოზნესენსკიმ განაცხადა, რომ დღეს სომხეთში გაიმეზგზარა სსრ კავშირის სახმობრივების სპეციალისტთა დიდი ჯგუფი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მუშაობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციისათვის.

სსრ კავშირის სახმშენის ოპერატიული შტაბის მთავარი ამოცანაა მიწისძვრის რაიონებში გაგზავნოს ნანგრევებიან, ასაღებად საჭირო ტექნიკა. საჭიროა, როგორც მინიმუმი, 16-დან 40 ტონამდე ტვირთამწეობის 300 ამწე. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ ამ მიმე მოწყობილობის მიწოდებისათვის გამოყო „ილ-76“ და „ანტეოსისს“ ტიპის 80 სატრანსპორტო თვითფრინავი. დღისათვის ამწეების პირველი პარტია თავისი ეკიპაჟებით, საჭირო სათბობით, სამარაგო ნაწილებით, სურსათ-სანოვაგით გაეგზავნება ლენინაკანის რაიონში.

განვლილი დღე-ღამის განმავლობაში, თქვა შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ინფორმაციის განყოფილების წარმომადგენელმა, სომხეთში გაიგზავნა ათიათასობით დათბუნებული კარავი და თბილი ტანსაცმლისა და საბნების პირველი პარტია.

(საკდესი).

ᲐᲢᲝᲛᲘᲡᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲘᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ერევანი. ჩვეულებრივი საექსპლოატაციო რეჟიმით მუშაობს სომხეთის ატომური საგარო, რომელიც ენერგიით ამარაგებს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს. სტიქიის ექო აქაც იგრძნობოდა: ბიძგის ძალამ ატომური ელექტროსადგურის რაიონში 5 ბალი შეადგინა. მაგრამ, როგორც პარტიის ოქტომბერიანის რაიკომის მრეწველობის განყოფილების გამგემ მ. მხითარიანმა გვაცნობა, სეისმურ ნაგებობებს ერთი ბზარიც არ გასჩენიათ. არ დაზიანებულა ენერგეტიკოსთა დამა მეცამრიც.

მუშაობენ ერევნის ქიმიური საწარმოებიც. სამურავების ქარხანაში, როგორც მისმა დირექტორმა ა. სუკიასიანმა თქვა, მხოლოდ მიწისკვეშა კომუნიკაციების ნაწილი დაზიანდა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია საწარმოო რიტმისათვის. ასევე მუშაობს ბაკურიანში „ნიორიტის“, ქარხანა „პოლიეთილენტეფტალის“, კანაკერის ალუმინის ქარხნისა და სხვა საწარმოების ყველა სამეურნეო.

ამ საწარმოებში შეიქმნა მოხალისეთა რაზმები რესპუბლიკის დაზარალებული რაიონების დასახმარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გლოვა, თანაგრძნობა

თბილისი

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მშრომელები, რომლებიც გულით განიცდიან მოძმე სომხეთში მომხდარ ტრაგედიას, ახლა ერთი საერთო მიზნით არიან გამსჭვალული — რაც შეიძლება სწრაფად და უკეთ დაეხმარონ გაჭირვებაში ჩავარდნილ სომეხ თანამოძმეებს.

— ჩვენი საწარმოს ფილიალის ასობით მუშა, — უთხრა „კომუნისტის" კორესპონდენტს **დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის გენერალურმა დირექტორმა პ. თორდიამ,** — სომხეთში მომხდარი ტრაგედიის პირველი დღიდანვე უშუალოდ ადგილებზე მონაწილეობს მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებში. მსურველები სხვებიც მრავლად არიან. დაზარალებულთა დასახმარებლად გავგზავნეთ ორი ბულდოზერი და ორი ამწე, მათსავე სასარგებლოდ გადაირიცხება ჩვენთან მოწყობილ მასობრივ შაბათობაზე გამომუშავებული მთელი თანხა — დაახლოებით 75 ათასი მანეთი. ტრაგედიის რაიონებში გასაგზავნად ვამზადებთ ფართო მოხმარების საქონლის დიდ პარტიას, რომელიც ჩვენთან კეთდება. ყველა აუცილებელი სამუშაოს მიმდინარეობას აკონტროლებს და კოორდინაციას უწევს სპეციალური კომისია.

— დაახლოებით 20 ათასი მანეთი, რომელსაც ჩვენთან მოწყობილი შაბათობის მონაწილენი გამოიმუშავებენ, განაცხადა **ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა თ. პაიჭაძემ,** — მთლიანად გადაირიცხება დაზარალებულთა დახმარების ფონდში. უბედურების რაიონში გავგზავნეთ „კამაზის" მარკის ავტომანქანა და მუშახელი. ვამზადებთ და მალე გავგზავნით თბილი ტანსაცმლის, ხელთათმანების და სხვა ნივთების მოზრდილ პარტიას. სამშაბათს სისხლის გადასხმის ინსტიტუტიდან მოწვეული გვყავს სპეციალისტები, რომლებიც ადგილზე, ამის საშუალება გვაქვს, აიღებენ სისხლს. გარდა ამისა, ჩვენს გაერთიანებასთან არსებული № 6 პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში გამზადებულია ყოველნაირად გაწყობილი 20 ოროთახიანი ბინა, სადაც შეგვიძლია დროებით საცხოვრებლად მივიღოთ სტიქიის რაიონებიდან გამოხიზნულნი.

— უბედურების რაიონში, კერძოდ, ლენინაკანში, — თქვა **ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორმა ტ. ჯაბაურმა,** — გავგზავნეთ ორი სატვირთო მანქანა. გასაგზავნად მზადდება და იტვირთება ერთი ვაგონი სხვადასხვა საშენი მასალა. ჩვენი ქარხნის ოცდახუთი წარმომადგენელი უკვე უშუალოდ მონაწილეობს სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებში. სხვა მოხალისეებიც საკმაოდ არიან და მითითებასღა ელოდებიან. შაბათობაზე გამომუშავებული ფული მთლიანად გადაირიცხება დაზარალებულთა ფონდში.

• • •

თბილისელი სტუდენტების გაერთიანებული რაზმი სომხეთს გაემგზავრა არნახული ძალის მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში პრაქტიკული დახმარების გასაწევად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტის, სხვა უმაღლესების 500 წარმომადგენელმა მიაშურა მოძმე რესპუბლიკის სტიქიით დაზარალებულ ქალაქებსა და რაიონებს.

— თავის მხრივ რესპუბლიკის ახალგაზრდული ბაზები სომხეთიდან მიიღებენ იმ ადამიანთა რამდენიმე ჯგუფს, რომლებსაც დასვენება და მკურნალობა ესაჭიროებათ, — აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციათა განყოფილების გამგემ ბადრი ხატიძემ. — კერძოდ, 200 კაცი დაბინავდება კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, კიდევ ასი — თბილისის ზღვაზე საერთაშორისო ახალგაზრდულ ცენტრ „ოქროს საწმისში".

• • •

როგორც ახლობლებსა და ნათესავებს, ისე შეხვდნენ სომხეთიდან ჩამოყვანილ დაზარალებულთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-პედაგოგიურ და კლინიკურ-ექსპერიმენტულ ცენტრში, ქირურგიისა და ნევროლოგიის ინსტიტუტებში, რესპუბლიკურ ბავშვთა საავადმყოფოში, თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში, თბილისის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. მუდმივ ყურადღებას იჩენს მათდამი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

საავადმყოფოებს, სადაც მიწისძვრით დაშავებულნი წვანან, ეწვივნენ **ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია,** საქართველოს პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები. (საქინფორმი).

მიმართეთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს

სომხეთში მომხდარმა ტრაგედიამ შეძრა მთელი ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში განუწყვეტლივ რეკავენ მოქალაქეები, ახალგაზრდები. მათ აინტერესებთ, თუ როგორი კონკრეტული ფორმით შეიძლება დაზარალებულთა დახმარება.

გუშინ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დახმარების ოპერატიული შტაბი. მოქალაქეებს, რომლებსაც სურვილი აქვთ თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საოჯახო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნივთები გაუგზავნონ დაზარალებულებს, შეუძლიათ მიმართონ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შექმნილ ოპერატიულ შტაბს.

შტაბის მისამართია: თბილისი, მაჩაბლის 11, ტელეფონები: 93-66-43, 99-90-05, 93-78-68.

შტაბი მუშაობს დღე-ღამის განმავლობაში.

სოხუმი

გუშინ აფხაზეთში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, სომხეთში მომხდარ დამანგრეველ მიწისძვრასთან დაკავშირებით გამოცხადებული იყო გლოვის დღე. დაიხარა სახელმწიფო ალმები, გაუქმდა გასართობი პროგრამები, შეიცვალა კინორეპერტუარი.

— მოძმე სომხეთში მომხდარმა ტრაგიკულმა ამბებმა, — გვითხრა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ზუხბაიამ, — სულით ხორცამდე შეძრა ჩვენი მოსახლეობა. მიწისძვრის შედეგების ოპერატიული ლიკვიდაციისა და დაზარალებულთა დახმარებისათვის აფხაზეთში მიმდინარე მუშაობის კოორდინაციის მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ცუგბას ხელმძღვანელობით.

ჩვენი ტურისტული ობიექტები უკვე ყოველნაირად მომზადებულია იმისათვის, რომ სამკურნალოდ და დროებით საცხოვრებლად მიიღოს ორი ათასი კაცი, რომელთაც ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლდებათ. სხვადასხვა ორგანიზაციებმა, ცალკეულმა ადამიანებმა და კოოპერატივებმა უკვე გადარიცხეს 300 ათას მანეთზე მეტი. სტიქიის რაიონებში ტყვარჩელიდან გაემგზავრა სამთო მაშველთა ორი სპეციალური ბრიგადა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში განსაკუთრებული აქტიურობითა და შრომის ნაყოფიერებით მოეწყო მასობრივი შაბათობები, რომელთა დროს გამომუშავებული თანხა მთლიანად გადაირიცხება დაზარალებულთა დახმარების ფონდში. ახლა ჩვენთან ყალიბდება სპეციალური კოლონა, რომელიც დიდძალ სურსათ-სანოვაგესა და საშენ მასალას ჩაუტანს უბედურებაში ჩავარდნილთ. სომხეთში გასაგზავნად ადგილებზე მოსახლეობა აგროვებს ყველაფერს, რაც შეუძლია — ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, საბნებს და თეთრეულს. გასაგზავნად მზად გვაქვს დიდძალი მედიკამენტი და მოსახლეობის მიერ გაღებული სისხლი. სომხეთს გასამგზავრებლად მზად არიან ექიმთა ბრიგადები და მშენებელთა რაზმები. ველოდებით მხოლოდ რესპუბლიკური შტაბის მითითებას, რათა ორგანიზებულად, გრაფიკის შესაბამისად და ეფექტიანად დავეხმაროთ უბედურებაში ჩავარდნილთ. მათდამი სოლიდარობის გრძნობა და დახმარების კონკრეტული სამუშაოები ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში სულ უფრო ძლიერდება.

(„კომუნისტის კორ.).

ბათუმი

უდიდესმა ტრაგედიამ, რომელიც მიწისძვრის შედეგად მოხდა სომხეთში, აჭარის მშრომელთა შეშფოთება და გულისტკივილი გამოიწვია. ჩვენს ორ ერს ჭირიცა და ლხინიც ერთი ჰქონდათ. ქალაქ ბათუმის მშრომელებს ოც წელზე მეტია მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ კიროვაკანელებთან, რასაც ბევრი სასარგებლო საქმე მოჰყვა.

როგორც კი შეიტყვეს ეს სამწუხარო ამბავი, აჭარის საწარმო-დაწესებულებებში გაიმართა სახელდახელო კრებები. ბათუმის ნავსადგურის სატვირთო რაიონის უფროსმა მერაბ კუტუბიძემ, ოსტატმა გიორგი ანდღულაძემ და სხვებმა წინადადება წამოაყენეს მატერიალურად დაეხმარონ დაზარალებულთ. ბათუმის საწარმოებმა შაბათი, 10 დეკემბერი, გამოაცხადეს სამუშაო დღედ. გამომუშავებულ თანხას მთლიანად ჩარიცხავენ დახმარების ფონდში. აჭარის სახელმწიფო ბანკში უკვე გაიხსნა ანგარიში დაზარალებულთა დასახმარებლად.

25-ე საშუალო სკოლის კომკავშირელებმა ივალდებულეს, თევზჭერის სამმართველოს საწარმოებში იმუშაონ და თანხა გადარიცხონ დაზარალებულთა დასახმარებლად. მათ აჭარის სხვა სკოლებმაც მიბაძეს.

ყოველი რაიონი, კოლმეურნეობა თუ საწარმო-ორგანიზაცია, ყოველი ოჯახი მზად არის დახმარება აღმოუჩინოს მოძმე სომეხ ხალხს.

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

ცხინვალი

სომხეთში მომხდარმა მიწისძვრამ და მისმა უმძიმესმა შედეგებმა გულის სიღრმემდე შეძრა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა. ხალხი მზად არის ყოველმხრივ დაეხმაროს დაზარალებულთ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასმა ჯგუფმა სტუდენტმა და სხვა ახალგაზრდებმა გამოთქვეს სურვილი იმუშაონ დანგრეული ქალაქების აღდგენაზე. ოლქის საწარმო-დაწესებულებები, ორგანიზაციები, ცალკეული პირნი დაზარალებულთა ფონდში რიცხავენ ფულს. მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ბაგრატ ტეხოვმა ამ ფონდში გადარიცხა 1000 მანეთი. დაზარალებულთა სასარგებლოდ გადაირიცხება ოლქის მასშტაბით შაბათობაზე გამომუშავებული მთელი თანხა. მარტო ქალაქ ცხინვალის მუშა-მოსამსახურეებმა ამ გზით გადარიცხეს 100 ათასი მანეთი. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თითქმის ყველა სტუდენტმა გაიღო სისხლი.

—სამი შვილი მყავს და ახლა მეოთხეს ველოდები,— განაცხადა სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატმა, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ცისნარ ბიჩენოვამ. — ამიტომაც ჩემთვის, ისევე როგორც ნებისმიერი დედისათვის, კარგად არის გასაგები ის თავზარდამცემი უბედურება და მწუხარება, სომეხი დედები რომ განიცდიან. მზად ვარ ვიშვილო და საკუთარივით გავზარდო უდედმამოდ დარჩენილი სომეხი ჩვილი.

სწორედ ამგვარი განწყობილება იგრძნობა ახლა მთელ სამხრეთ ოსეთში. ამგვარივე განწყობილებით მიმდინარეობს სპეციალური სამუშაოები, რომლებსაც საოლქო შტაბი ხელმძღვანელობს. („კომუნისტის" საკ. კორ.)

— ნუგეშად!

— გამხნევებად!

— რწმენად, სახოებად — მძიმე განსაცდელში აღმოჩენილ მოძმე სომეხ ხალხს აქ, თბილისის ცის ქვეშ შობილი ამ პაწაწინა გოგონას ხმა და გულისფეთქვა!

რა ღრმა შინაარსით, რა სიმბოლიკით არის აღსავსე ეს ფაქტი!

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ეს სურათი თბილისის № 1 კლინიკური საავადმყოფოს სამშობიარო სახლში გადაიღო:

აქ სომხეთიდან ჩამოყვანილ რიმა ბაბაიან-არზუმანიანს ქალიშვილი შეეძინა.

— მე კიროვაკანელი ვარ. ამ საბედისწერო დღეს დილით ვაპირებდი მეუღლესთან წასვლას, რომელიც საავადმყოფოში იწვა. გავედი ეზოში და ვიგრძენი, რა მძლავრად იძრა მიწა. ჩვენს 9-სართულიან სახლს უხილავი საშინელი ძალა სათამაშოსავით აჯანჯღარებდა. ისმოდა ნგრევის ხმა, ყვირილი. ამოვარდა ძლიერი ქარი და ყველაფერი მტვერში გაეხვია... თბილისის სამშობიარო სახლში მოვხვდი და გოგონა შემეძინა. გულთბილად და სიყვარულით მიმიღეს ქართველმა ექიმებმა და ექთნებმა. დიდი მადლობა ყველას!

სიმონ კილაძის („კომუნისტი") ფოტო.

იმედით...

რეპორტაჟი

მიწისძვრის ბიძგები იმდენად ძლიერი იყო, რომ ხალხი თავზარდაცემული ტოვებდა სამუშაო ადგილებს, საცხოვრებელ ბინებს და გარეთ გამორბოდა. სულ რაღაც წუთებში, როდესაც გაიაზრეს რა მოხდა, აზრი მოიკრიბეს, პარტიის ახალქალაქის რაიონულ კომიტეტში დაუყოვნებლივ შეიკრიბა რაიონის თითქმის მთელი აქტივი. რაიკომის პირველი მდივნის მამიკონ ფიდანიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის რაიონული შტაბი. იგივე მოხდა ახალციხის, ბოგდანოვკისა და ასპინძის რაიონებში. სასწრაფოდ შემუშავდა და დამტკიცდა მოქმედების გეგმები. ადგილებზე დაიგზავნენ სახელდახელოდ შექმნილი ჯგუფები. შტაბები განუწყვეტლივ იღებდნენ ცნობებს დაზიანებული ობიექტების შესახებ. მარტო ახალქალაქის რაიონში 5 სასკოლო შენობა და 25-მდე მეცხოველეობის ფერმა და სხვა ნაგებობები დაზიანდა, ყველას დარდი და საზრუნავი გაუჩნდა.

მაგრამ სომხეთში დატრიალებული ტრაგედიის ცნობამ, რომელიც სწრაფად გავრცელდა სამცხე-ჯავახეთის რაიონებში, ყველას თავისი თავი დაავიწყა, როცა გაიგეს, რომ მოძმე სომხეთში მიწისძვრამ ნანგრევებში ჩამარხა და დაღუპა ათასობით ადამიანი, განადგურდა ქალაქები, სოფლები...

ყველამ დაივიწყა თავისი საფიქრალი და საზრუნავი. მანქანების კოლონებმა გეზი აიღეს მოძმე სომხეთისაკენ. სწრაფად მოიაზრეს, რა იყო საჭირო, ვისაც რა შეეძლო: — სურსათი თუ ტანსაცმელი, სათბობი თუ საწვავი, ყველაფერი. მიჰქონდათ დაზარალებულთათვის. სამუშაოდ მომზადებულნი მიდიოდნენ სპეციალური ბრიგადები.

დაზარალებულებს პირველნი ახალქალაქელები და ბოგდანოვკელები მიეშველნენ. მიწისძვრიდან სამიოდე საათი თუ იქნებოდა გასული, რომ უკვე შემთხვევის ადგილას გაჩნდნენ აღნიშნული რაიონების მაშველი ჯგუფები. ხალხმა ისეთი აქტიურობა გამოიჩინა, რომ ახალქალაქის რაიონულმა შტაბმა ლენინაკანში თავისი მუდმივი საგუშაგო მოაწყო, რომელიც ხელმძღვანელობს ავადმყოფთა და დაზარალებულთა ევაკუაციას ახალქალაქის საავადმყოფოში, დანიშნულების მიხედვით ანაწილებს მიღებულ სურსათს, ტანსაცმელს, მუშათა ბრიგადებს გამოჰყავს უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები.

საოცრად ნათლად იჩინა თავი იმ დიდმა ძმობამ, რომელიც ქართველ და სომეხ ხალხს ასე მყარად მოსდევთ წარსულიდან. პტენელი, ხიზაბავრელი, ოკმელი თუ კოთელიელი ქართველები მიდიან რაიონულ შტაბებში და ისახლებენ უსახლკაროდ დარჩენილ სომხებს, არაფერს იშურებენ, ოღონდ როგორმე შეუმსუბუქონ ესოდენ დიდი მწუხარება და თავს დამტყდარი უბედურება თავიანთ მოძმეთ.

ახალქალაქელ ბაგრატ მელიქიძის ოჯახში გულთბილად მიიღეს ლენინაკანელი დები — მარანე, ჟრმენკი, ანა და ანუშ ორდონიანები. ხოლო მათი დედ-მამა, პატარა ძმა კარენი, 2 გათხოვილი და— მარგალიტა და ემა თავისი ახლო ნათესავებითა და შვილებით (16 სული) შეიკედლეს და შეითვისეს მამიკონ ფიდანიანის ოჯახში, და ვინ მოთვლის კიდევ.. მარტო ახალქალაქის რაიონში 300-ზე მეტი ოჯახია გამოხიზნული, 100-ზე მეტია ახალციხეში, ასევე ბოგდანოვკისა და სხვა რაიონებში.

უწყვეტად მოჰყავთ ავადმყოფები ამ რაიონების სამედიცინო დაწესებულებებში, მათ სტაციონარებში. სამედიცინო რაზმები და ბრიგადები გაგზავნილია შემთხვევის ადგილებზე. საკმაოდ დიდი რიგი ვნახეთ ახალციხის რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოში იმ ადამიანებისა, რომლებიც სისხლს აძლევენ მძიმე ავადმყოფთა გადასარჩენად, მაგრამ ამ საქმეში თვით სამედიცინო პერსონალი იყო მაინც უპირველესი.

ახალციხის მეორე და მესამე საშუალო სკოლაში, სოფელ სხვილისში შექმნილია დამოუკიდებელი შტაბები დაზარალებულთა დასახმარებლად. სკოლების დირექტორები: ნანა ჯინჭველაძე, ლუბა მათევოსიანი, მთელი პედაგოგიური კოლექტივი ყველაფერს ღონობენ თავიანთი წვლილის გასაღებად მოძმეთა დასახმარებლად. მარტო ამ სკოლებიდან 40-ზე მეტი სატვირთო ავტომანქანა გაიგზავნა დაზარალებულ რაიონებში სურსათითა და ტანსაცმლით დატვირთული. ახალციხის ხორცკომბინატის კოლექტივმა 2 ტონამდე ხორცი გაუგზავნა დაზარალებულებს. არც ერთი ორგანიზაცია, შრომითი კოლექტივი არ არის გულხელდაკრეფილი, ყველა ცდილობს მეგობრობისა და ნუგეშის ხელი გაუწოდოს ლტოლვილებს, რომ როგორმე შეუმსუბუქონ სატკივარი.

თუმცა ძნელია ოდესმე დაავიწყდეს თავისი სატკივარი ემა ორდონიანს, რომლის მეუღლე, ლენინაკანის კვლევითი ინსტიტუტის „ავანგარდის" წამყვანი მეცნიერმუშაკი არარატ მოვსესიანი დღესაც ვერ უპოვნიათ ამავე ინსტიტუტის ნანგრევებში ჩამარხული. ემას დას მარგალიტას რა გაუნელებს გულისტკივილს, — 6 წლის პირმშო სუსანა შახზაზიანი თვითონვე იპოვა თავისივე სახლის ნანგრევებში...

ამჟამად ახალქალაქის საავადმყოფოში 80-ზე მეტ ავადმყოფს მკურნალობენ. მათ შორის ხუთი მძიმე ავადმყოფი სასწრაფოდ გამოიგზავნა თბილისში. მიღების პირველ დღეს, 7 დეკემბერს, ავადმყოფთა 50 პროცენტი უმძიმეს მდგომარეობაში იყო: დღეისათვის მძიმე ავადმყოფი არ გვყავს — გვითხრა თბილისის პირველი საავადმყოფოს მე-2 ქირურგიული განყოფილების გამგემ თამაზ კრავეიშვილმა, რომელიც ახალქალაქის საავადმყოფოში დაზარალებულთა მკურნალობს.

საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ ექიმთა თუ მშრომელთა მაშველ რაზმებს, სპეციალურ სატვირთო მანქანებს შეხვდებით ახალციხე-ლენინაკანის ტრასაზე. ხალხს მიუტოვებია თავისი საქმე, დაუვიწყნია საკუთარი ტკივილები და მხოლოდ ერთი ფიქრით — როგორ შეუმსუბუქონ უბედურება სომხებს — მიეშურებიან მათკენ.

ათასობით ადამიანს შეაქვს თავისი დანაზოგი ბანკებსა და სალაროებში გახსნილ სპეციალურ ანგარიშებზე. ყველა მათგანს სწამს, რომ ამით სიცოცხლეს შეუნარჩუნებს და განკურნავს დაზარალებულებს.

უყურებ ყოველივე ამას და დიდ წუხილთან ერთად სიამაყისა და იმედის გრძნობით ივსები, როცა თვალნათლივ ხედავ, თუ რა შეუძლია მეგობრობას, ხალხთა ძმობას, თანადგომას.

ელგუჯა კობაძე,
ვარლამ გენგიური,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

• • •

სურათებზე: ახალქალაქის რაიონულ საავადმყოფოში—ლენინაკანის ავეჯის ფაბრიკის მუშა საველ ფილოსიანი; ექიმთა მორიგი რეისი ლენინაკანისაკენ.

ვარლამ გენგიურის („კომუნისტი") ფოტო.

• • •

ამ რეპორტაჟის ავტორების თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება დაზარალებულთა ფონდში 700412 ანგარიშზე.

ღია კოსმოსში

ფრენის მართვის ცენტრი. 9 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ალექსანდრე ვოლკოვი და ჟან-ლუ კრეტიენი გავიდნენ ღია კოსმოსურ სივრცეში და შეასრულეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ფრენის პროგრამით გათვალისწინებული მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტები.

მოსკოვის დროით 12 საათსა და 57 წუთზე კოსმონავტებმა გააღეს სადგურის ლუკი და გამოიტანეს მუშაობისათვის საჭირო მოწყობილობა და ინსტრუმენტები. გადასასვლელი ნაკვეთურის კონუსურ ნაწილზე დადგეს სამაგრი პლატფორმა და მის შტანგაზე დაამონტაჟეს დაკეცილი საამწეო კონსტრუქცია. შემდეგ სამუშაო ნაკვეთურში არსებული მართვის პულტიდან გაცემული კომანდებით და კოსმონავტების ვოლკოვისა და კრეტიენის დახმარებით ეს კონსტრუქცია გაიშალა და მიიღო ექვსწახნაგოვანი პრიზმის ფორმა, რომლის მაქსიმალური ზომა განივკვეთში დაახლოებით ოთხი მეტრია.

ექსპერიმენტის დროს გადამწოდი და ოპტიკურ-ელექტრონული აპარატურის მეშვეობით აღინუსხებოდა კონსტრუქციის გაშლის პროცესი, განისაზღვრებოდა მისი დინამიკური მახასიათებლები.

დასახულ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ საამწეო კონსტრუქცია დააშორეს სამაგრ პლატფორმას.

სადგურის სამუშაო ნაკვეთურის გარე ზედაპირზე კოსმონავტებმა დაამაგრეს ნიმუშებიანი პანელი, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა საკონსტრუქტო მასალებზე ღია კოსმოსური სივრცის ფაქტორების გავლენის შემდგომი შესწავლისათვის, და მიკრომეტეორიტების ნაკადების რეგისტრაციისათვის საჭირო აპარატურა.

ალექსანდრე ვოლკოვისა და ჟან-ლუ. კრეტიენის მუშაობის დრომ ღია კოსმოსში 6 საათი შეადგინა. კოსმონავტები ჯანმრთელად არიან, თავს კარგად გრძნობენ.

• • •

მოსკოვი, 9 დეკემბერი. (**საკდესის კორ**). პროგრამით ნავარაუდევი 4 საათისა და 20 წუთის ნაცვლად ექვს საათს იმუშავეს დღეს ღია კოსმოსში ა. ვოლკოვმა და ჟან-ლუ კრეტიენმა. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ეკიპაჟმა ექსპერიმენტი „ერა" დაიწყო 12 საათსა და 57 წუთზე, როცა „მირ" კომპლექსი წყნარი ოკეანის თავზე მიფრინავდა იაპონიის კუნძულების რაიონში.

კოსმოსში პირველი გავიდა ჟან-ლუ კრეტიენი. წელსზემოთ ლუკიდან გამოსულმა მან, ნაკვეთურში მყოფი საბჭოთა კოლეგის დახმარებით მოსახსნელი სახელურები დააყენა და დამაგრდა სპეციალურ ბაქანზე. მოწყობილობის, ტელეკამერისა და ფოტოაპარატურის გამოტანისა და სადგურის ზედაპირზე ფიქსაციის შემდეგ ლუკიდან გამოვიდა ა. ვოლკოვი.

კოსმონავტებმა სადგურის გარე ზედაპირზე დაამაგრეს პანელი, რომელზეც მოთავსებულია სხვადასხვა მასალის ნიმუშები და მიკრომეტეორიტების ნაკადის მარეგისტრირებელი გადამწოდები. იგი კოსმოსში უნდა იყოს ნახევარ წელზე მეტ ხანს, რის შემდეგ მოხსნიან და დედამიწაზე ჩამოიტანენ შესასწავლად.

გადასასვლელ ნაკვეთურებზე დადგეს პლატფორმა ნახშირპლასტიკის მილაკებისაგან გაკეთებული გასაშლელი კონსტრუქციის დასამონტაჟებლად. კაბელის გაყვანას, რომელიც მას პულტთან აკავშირებს, რამდენადმე მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე პროგრამით იყო გათვალისწინებული, მაგრამ ყველაზე დრამატული მომენტი დადგა მაშინ, როცა პულტიდან ს. კრიკალიოვის მიერ გაცემული გაშლის კომანდის შემდეგ კონსტრუქცია ქძრავად დარჩა. ვერ უშველა ვერც ვიბრაციის ზემოქმედებამ. ფრენის ხელმძღვანელები, სპეციალისტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საბჭოთა და საფრანგეთის მხრივ ექსპერიმენტისათვის, შეიკრიბნენ სასწრაფო კონსილიუმზე. მიიღეს გადაწყვეტილება მოეგლიჯათ კონსტრუქცია, თუ იგი არ გაიშლებოდა. მაგრამ, როცა სადგური, რომელმაც კიდევ ერთი ორბიტული გარშემოვლა შეასრულა, შევიდა სამეცნიერო გემის „აკადემიკოს სერგი კოროლიოვის" რადიოხილვადობის ზონაში, კოსმონავტებმა გაახარეს დედამიწა, აცნობეს, რომ გაშლის მექანიზმი ამუშავდა და პროგრამით გათვალისწინებული კონსტრუქციის ყველა გამოცდა განხორციელებულია.

როგორც ფრენის ხელმძღვანელის მოადგილემ ვ. ბლაგოვმა განაცხადა, შეფერხების მიზეზებს გაარკვევენ ეკიპაჟთან საუბრისა და ტელემეტრიული ინფორმაციის ანალიზის შემდეგ.

პარტიული კომიტეტების პლენუმები

ქუთაისი. გაიმართა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა გაათავისუფლა ტ. ვ. ლორთქიფანიძე პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია გ. ს. აბზიანიძე, რომელიც პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა.

• • •

წყალტუბო. გაიმართა საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა გაათავისუფლა გ. ს. აბზიანიძე პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია მ. მ. ქორქაშვილი, რომელიც წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

• • •

პლენუმების მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. ამავე დღეს იგი შეხვდა ქუთაისისა და წყალტუბოს პარტიულ აქტივს.

წყალტუბოს საქალაქო საბჭოს სესია

გაიმართა წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გაათავისუფლა მ. მ. ქორქაშვილი სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სესიამ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ჯ. ნ. დემეტრაძე, რომელიც ქალაქ წყალტუბოს ზონის აგრომრეწვის თავმჯდომარედ მუშაობდა.

(საქინფორმი).

თ ა ნ ა დ გ ო მ ა

ზესტაფონი

რაიონის მშრომელებმა სომხეთში მომხდარი უბედურების გამო გადაწყვიტეს ძმური დახმარება გაუწიონ დაზარალებულთ. პარტიის რაიონულ კომიტეტში შეიქმნა სპეციალური შტაბი. 9 დეკემბერს ზესტაფონიდან სომხეთში უკვე გაემგზავრა მშენებელთა პირველი კოლონა. მათ თან წაიღეს 100 ცალი გაზის ბალონი და საშენი მასალები; გაიგზავნა 3 ავტომაშინა, ათობით სხვადასხვა მარკის სატვირთო ავტომანქანა, ბულდოზერი და სხვა ტექნიკა.

ზესტაფონის ტრანსსააგენტოს კოლექტივმა, რომელმაც მიმდინარე წლის გეგმა 11 თვეში შეასრულა, ინიციატივა იკისრა დაზორულა, საწვავით ორი კვირით 60 გილი სატვირთო მანქანით სამუშაოდ გაემგზავროს სომხეთში.

10 დეკემბერს ზესტაფონიდან ეშმაიანში გაემგზავრა ზესტაფონის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს კოლექტივის ექვსი სამონტაჟო ბრიგადა. მათ თან წაიღეს ავტომაშინები, ბულდოზერები და საშენი მასალა. ამას გარდა, რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციიდან სომხეთში გაიგზავნება კიდევ ერთი კოლონა, რომელიც წაიღებს სურსათ-სანოვაგეს, სამრეწველო საქონელს, ტანსაცმელს და საშენ მასალას. რაიონის საწარმო-დაწესებულებებმა — ფერომშენადნობთა, კაბელებისა და ელემენტების ქარხნის, კინოფიკაციის, ხორცკომბინატის კოლექტივებმა და ცალკეულმა პირებმა დაზარალებულთა ფონდში უკვე 48 ათასზე მეტი მანეთი შეიტანეს („კომუნისტის" საკ. კორ.).

მახარაძე

მანდარინით დატვირთული სამი ავტომანქანა გაგზავნეს რაიონის მეციტრუსეებმა სომხეთის მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში. აქ განსაკუთრებული გულისტკივილით აღიქვეს სომეხი ხალხის ტრაგედიის ამბავი. აი, უკვე 50 წელია, რაც მახარაძელები მეგობრობენ და ეჯიბრებიან მოძმე რესპუბლიკის ოქტომბერიანის რაიონს, საწარმოო გამოცდილებას, ცოდნას უზიარებენ, ეხმარებიან ერთმანეთს. სტიქიური უბედურების ამბავი რომ შეიტყვეს, რაიონის მშრომელები დაუყოვნებლივ შეუდგნენ დახმარების გაწევას. სომხეთში გაიგზავნა სიმინდის ფქვილით, ყველით, ჰურჰლით, თბილი ტანსაცმლით დატვირთული ავტომანქანები. ყველგან მიმდინარეობს ფულადი სახსრების შეგროვება. პრაქტიკულად ყველა ორგანიზაცია, დაწესებულება და მეურნეობა აგროვებს მასალებს, სურსათს და უგზავნის მეზობელ რესპუბლიკას. რაიონის მოსწავლეებს განზრახული აქვთ საკუთარი სახსრებით შეიძინონ სასწავლო ინვენტარი და დააკომპლექტონ სკოლა.

ხობი

სომხეთში დატრიალებული ტრაგედია საკუთარ ტკივილად აღიქვეს ხობის რაიონის მშრომელებმა. სტიქიამ, შარშანდელმა წყალდიდობამ ხომ მათაც დიდი მწუხარება მოუტანა.

სომეხმა ხალხმა, — გვითხრა პარტიის ხობის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ დ. პაჭკორიამ, — მაშინ გულწრფელად გაიზიარა ჩვენი სატკივარი. დაზარალებული სოფლების მოსახლეობას პირველ დღეებში დახმარების ხელი გამოუწოდეს ქ. სისიანის მშრომელებმა. ძალიან ბევრმა სომხურმა ოჯახმა გამოუგზავნა ხობელებს პირადი დანაზოგი თუ ნივთები.

სწორედ ასეთმა ძმურმა თანადგომამ, მზრუნველობამ და დახმარებამაც განაპირობა, რომ ადამიანები, რომლებსაც წყალდიდობისას წყალმა გამოსტაცათ შეძენილი სიუხვე ოჯახისა, არ დანებდნენ დარდს, ცრემლი უკან ჩაიბრუნეს და ყველაფერი თავიდან დაიწყეს.

დღეს დიდია გლოვის ზარი. დიდია დარდი და მწუხარება, უპირველესად დაკარგული ადამიანების გამო.

ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ, მარადიული ცხოვრების კანონი გვავალდებულებს სომხეთის დაზარალებული ქალაქების მოსახლეობის თანადგომას. რაიონის მოსახლეობამ სპეციალურ ანგარიშზე უკვე გადარიცხა ათასობით მანეთი. შრომითი კოლექტივებიდან მიღებული მრავალრიცხოვანი წერილების მიხედვით კი უახლოეს დღეებში გადაირიცხება კიდევ 100 ათასი მანეთი. დაზარალებულ მოსახლეობას გაუგზავნით სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და სხვა ნივთებსაც.

კომკავშირის რაიკომთან შექმნილია 30-კაციანი რაზმი, რომელიც მზადაა საჭიროების შემთხვევაში გაემგზავროს დამკვრელურ მშენებლობაზე.

დმანისი

ბულდოზერები და ექსკავატორები გაიგზავნა რაიონიდან აღდგენითი სამუშაობის ადგილებზე. ამ მიმართულებით უკვე გაემგზავრნენ მშენებლები, გზის გამყვანები და სხვა სპეციალისტები.

რაიონის საავადმყოფოები გამზადებულია დაშავებულთა მისაღებად.

ბოლნისი

— ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა არავის აუთრევია ფეხი, — ამბობს პარტიის რაიკომის მეორე მდივანი შოთა რეხვიაშვილი, — ჩვენი ძმები მძიმე სტიქიის მსხვერპლნი გახდნენ და მათ მისაშველებლად მთელი რაიონი დაირაზმა. მოხალისე დონორები სისხლს აბარებენ. მიმდინარეობს ფულადი სახსრების შეგროვება. სტიქიური უბედურებით დაზარალებულ რაიონებში გასაგზავნად მზად არის სოფლის მეურნეობის

პროდუქტები და ტრიკოტაჟი, ორი ტონა ქათმის ხორცი, ხუთი ათასი კვერცხი, პურეული და ძეხვეული, თბილი ტანსაცმელი, მედიკამენტები. გამოყოფილია ტექნიკაც: ავტომაშინები, სატვირთო ავტომობილები, ექსკავატორები, აგრეთვე მუშახელი.

თქვენს გვერდით მიგულეთ...

ჩემო სომეხო ძმებო და დებო, რა ნუგეში გადასწონის იმ საცოდაობას, რაც ბუნებამ თავს დაატეხა სომხეთის უძველეს მიწას. შეჰყურებს ტელეეკრანს, ეცნობა სტიქიის ამბებს და გული უკვდება ყველა ნაღდ ქართველს, ყველას, ვისაც მეზობლისა და მეგობრის ჭირი გაუთავისებია... მაგრამ ახლა მარტო წუხილი საქმეს აღარ შველის და ჩვენი წმინდა ვალია დახმარების ხელი გამოგიწოდოთ. იმ ქართველთა რიგებში მეც მიგულეთ, ჩემო სომეხო მეგობრებო! მე ხომ თქვენი დავით ბეგი ვარ... მახსოვს, რა პასუხისმგებლობის გრძნობით ვძერწავდი თქვენი ეროვნული გმირის სახეს, და შემდეგ, ფილმი „იმედის ვარსკვლავი" რომ გამოვიდა და დავით ბეგის სახე მოიწონეთ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თქვენგან მოგვრილი სითბო, ასე რომ იგრძნობოდა ფილმის გადაღების პროცესში, შემდეგაც — შეხვედრებზე, დიდხანს გამყვება...

დღეს, სომხეთისათვის ამ ენითაუწერელი უბედურების ჟამს, მინდა გჯეროდეთ, რომ თქვენთანა ვარ სულითა და გულით...

ედიშერ მაღალაშვილი,
საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ სახალხო არტისტი.

პროფკავშირების წვლილი

მთელმა ქვეყანამ გულისტკივილით აღიქვა უბედურება, რომელიც თავს დაატყდა სომეხ ხალხს. დახმარების გაწევის დიდი პროგრამა სასწრაფოდ მიიღეს ქვეყნის პროფკავშირის ორგანოებმაც. აი, რა უთხრა საქდესის კორესპონდენტს საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ი. ე. კლოჩკოვმა:

— ჩვენ მზად ვართ დაზარალებულთ მივცეთ 50 ათასი კეთილმოწყობილი ადგილი ჯანმრთელობის დაცვის კერებში, ტურისტულ სასტუმროებში, უბედურების რაიონებთან მაქსიმალურად დაახლოებულ საკურორტო ზონებში — შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოში, კრასნოდარის მხარეში, ოდესისა და ნიკოლაევის ოლქებში, მოლდავეთში. ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმისათვის, რომ არ გადაიტვირთოს დიდი ქალაქები და ამით არ შეიქმნას დამატებითი სიძნელეები მომარაგებაში.

დაზარალებულთა გადაყვანის და შენახვის მთელ ხარჯებს პროფკავშირი კისრულობს წინასწარი გამოანგარიშებით, ეს დღეში ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

გარდა ამისა, პროფკავშირული ბიუჯეტის ხარჯზე 5 მილიონ მანეთზე მეტი გამოყოფილია დაზარალებულთა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად. მოხდება საავადმყოფო ფურცლების ასპროცენტიანი ანაზღაურება.

ახლა ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანოებს დიდი ორგანიზაციული მუშაობა მოელით. უნდა გაგზავნონ სახლებში ისინი, ვინც ამჟამად ისვენებს კურორტებზე: აუხსნან სიტუაცია, აუნაზღაურონ ხარჯები, მოაწყონ მათი გაგზავნა.

დღეს უკვე იქმნება ადამიანთა გახიზვნისა და მიღების სპეციალური პუნქტები დასახლებულ კურორტებთან ახლომდებარე ქალაქებში, სადაც არის აეროპორტები. მჭიდრო კონტაქტი გვაქვს ავტოტრანსპორტის მუშაკებთან და ავიატორებთან. დღეს ძალას და დროს ხრავინ იშურებს და არ დაგიდევს. სომეხი ხალხის უბედურება ჩვენი საერთო უბედურებაა.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. შალაევი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი გ. თ. სუხორუჩენკოვა, აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები გაემგზავრნენ ადგილებზე საჭირო დახმარების ორგანიზაციისა და გაწევისათვის.

გადარიცხავენ 500 ათას მანეთს

მოძმე სომეხი ხალხისადმი თანაგრძნობისა და გულისტკივილის გრძნობით შეიკრიბნენ 9 დეკემბერს საგანგებო სხდომაზე საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდის გამგეობის პრეზიდიუმის წევრები. მათ ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხონ 500 ათასი მანეთი. დასახულია საქველმოქმედო ღონისძიებათა პროგრამა, რომელთა შედეგად მიღებული სახსრები ამავე მიზნებს მოხმარდება.

საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდის გამგეობის პრეზიდიუმის წევრმა, უკრაინელმა მწერალმა ბ. ოლეინიკმა აღნიშნა, რომ ყველა მოძმე ხალხის გულმოწყალებისა და ამხანაგური დახმარების გამოვლინება ჩვენი სინამდვილის დამახასიათებელი ნიშანია. მან განაცხადა, რომ რესპუბლიკის კულტურის ფონდის გამგეობა სომხეთს უგზავნის 50 ათას მანეთს.

სხდომის მონაწილეებმა ამიერკავკასიის რესპუბლიკაში მცხოვრებ კოლეგებს გამოუგზავნეს დეპეშა, რომელშიც ღრმა სამძიმარსა და გულწრფელ მწუხარებას გამოთქვამენ.

(საქდესის კორ.).

გამოვიჩინოთ გულმოწყალება

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდმა გამოაქვეყნეს განცხადება სომხეთის სს რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის გამო. საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი და საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდი, ნათქვამია განცხადებაში, იზიარებენ სომხეთის მწუხარებას, რომელიც ჩვენთვის საერთო ტკივილად იქცა, და მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო მოძრაობის ყველა მონაწილეს დახმარება გაუწიონ ჩვენს სომეხ დებსა და ძმებს.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ბიუროს და საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის გამგეობის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება 20 მილიონი მანეთი გამოიყოს საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის სახსრებიდან დაზარალებულთათვის სასწრაფო დახმარების გასაწევად. ყველასა და თითოეულის ვალია გამოიჩინონ გულმოწყალება..

ჩვენ მადლიერნი ვართ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრებისა, რომლებიც გულმხურვალედ დაგვეხმარნენ, მათ შორის მატერიალური სახსრებითაც, სომხეთში მომხდარი ტრაგედიის გამო. საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი და საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდი მოუწოდებენ მშვიდობის დაცვის ადგილობრივ კომიტეტებსა და მშვიდობის ფონდის განყოფილებებს მოაწყონ ნებაყოფლობით შეწირულებათა შეგროვება ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შენატანები მიიღება აგრეთვე № 705 ანგარიშზე აღნიშვნით — „მიწისძვრა". (საქდესი).

ჰუმანური დახმარება

საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებათა კავშირმა თავის განცხადებაში ღრმა სამძიმარი გამოუცხადა მოძმე სომხეთის ხალხს სტიქიური უბედურების გამო, რომელიც მას თავს დაატყდა.

მიწისძვრის ტრაგიკული შედეგების ამბავმა, ნათქვამია განცხადებაში, დიდად დაწყვიტა გული საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთელ მეგობრებს.

ძმური მეგობრობის პრინციპების შესაბამისად საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებათა კავშირმა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის გამგეობამ მიიღეს გადაწყვეტილება გამოყონ სამი მილიონი მანეთი სომხეთის სს რესპუბლიკაში სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ერთ-ერთ რაიონში საავადმყოფოს ასაშენებლად.

საზოგადოება იღებს მრავალ დეპეშას საზღვარგარეთის საბჭოთა კავშირთან მეგობრობის საზოგადოებათაგან და სხვა ორგანიზაციებისაგან, რომლებშიც ისინი გამოთქვამენ სამძიმარს და აცხადებენ, რომ მზად არიან დაეხმარონ სომხეთის დაზარალებულ მოსახლეობას.

საბჭოთა კავშირი-საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირმა სსრკ საგარეო-ეკონომიკურ ბანკში გახსნა სპეციალური სავალუტო ანგარიში № 70000006.

ხამს მოყვარე მოყვრისათვის

„ბაზალეთი" დაზარალებულთ ელის

— სომეხი ხალხის მწუხარება თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარივით აღიქვა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ვ. კაჰარავამ. — განვახორციელებთ მიწისძვრით დაზარალებულებისადმი ქმედითი დახმარების ღონისძიებანი. ამ მიზნით, კერძოდ, მარტოხელა ხანდაზმულთა და ინვალიდების დახმარების ფონდიდან, სადაც სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები რიცხავენ შაბათობებზე გამომუშავებულ სახსრებს, გამოვყოფთ მილიონ მანეთს. გარდა ამისა, სამინისტროს სისტემის მუშაკები სახინაო-სოციალური ბანკის № 700412 მიმდინარე ანგარიშზე გადარიცხავენ მნიშვნელოვან თანხას საკუთარი დანაზოგიდან.

სტიქიური უბედურებით დაზარალებულებს ვუთმობთ ომისა და შრომის ვეტერანთა ახალ პანსიონატს „ბაზალეთს", რომლის მშენებლობა ამ დღეებში დამთავრდა. აქ ერთდროულად მოთავსდება და საჭირო დახმარებას მიიღებს ასი კაცი. ასამდე ბავშვს მიიღებს ცხაკაიას ბავშვთა პანსიონატი. დაზარალებულთა მისაღებად და სამედიცინო დახმარების გასაწევად მზად არის აგრეთვე ექსპერტიზისა და ინვალიდთა შრომისუნარიანობის აღდგენის რესპუბლიკური ცენტრი.

ექიმისა და მოქალაქის მოვალეობით

იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ თავიანთ საექიმო და სამოქალაქო მოვალეობას სტიქიის შემოტევიდან პირველი ორი დღის განმავლობაში სამხედროფორმიანი ექიმები, სანიტრები და მედდები, გვიამბობს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამედიცინო სამსახურის უფროსი გენერალ-მაიორი პ. კოროტკიხი:

— ლენინაკანის საგარნიზონო ჰოსპიტალი მიწისქვეშა ბიძგებმა პრაქტიკულად მიწასთან გაასწორეს. ამიტომ სამედიცინო ქვეგანაყოფების ბაზაზე დავდგით ათასი საწოლი, რომელიც მაშინვე გაივსო დაშავებულებით. იგივე ხდება კიროვაკანშიც, სადაც მოეწყო საველე ჰოსპიტალი 1500 ავადმყოფისათვის, ხოლო სპიტაკში უბედურებიდან უკვე რამდენიმე საათის შემდეგ შეუდგნენ მუშაობას სამედიცინო ქვეგანაყოფების პირადი შემადგენლობა და ჰოსპიტლის პერსონალი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიიდან სომხეთში გადავიდნენ.

ერევნის საგარნიზონო ჰოსპიტალმა ერთიანად გაზარდა ადგილების რიცხვი და უკვე მიიღო დაშავებულნი. პირველი დაზარალებულნი დააწვინეს თბილისის საოლქო-სამხედრო ჰოსპიტალშიც.

9 დეკემბრის დილისათვის სამხედრო მედიკოსებმა საჭირო დახმარება აღმოუჩინეს სამი ათასზე მეტ კაცს. (საქინფორმი).

ძმობის კანონებით

ტკივილითა და თანაგრძნობით არის გამსჭვალული საბჭოთა ადამიანების გული. სომხეთში მომხდარ უბედურებას ეხმაურებიან ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა კუთხის შრომითი კოლექტივები. თითოეული ცდილობს დაზარალებულებისათვის დახმარებაში შეძლებისდაგვარი წვლილი შეიტანოს. აი რას იუწყებიან საქდესის კორესპონდენტები:

მოსკოვი. სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობის კოლექტივის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება 500 ათასი მანეთი გამოყოს სომხეთში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად. გამგეობის ოპერატიული ჯგუფი უბედურების მეორე დღესვე ჩავიდა სომხეთში, რათა პრაქტიკულად დაეხმაროს ადგილობრივ ორგანოებს ზარალის განსაზღვრასა და დაზარალებულთათვის სადაზღვევო თანხის გადახდაში.

ლენინგრადი. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ლენმელიორაციის" კოლექტივის გადაწყვეტილებით, მომჭირნეობის გზით მიღებული ათი ათასი მანეთით შეიძინეს ლოგინის თეთრეულის კომპლექტები. ისინი გაიგზავნა ოქტომბრის რკინიგზის საწყობში, სადაც იქმნება მოძმე რესპუბლიკისათვის ლენინგრადის „ამანათი". პირდაპირ კონვეიერიდან აქ უკვე მიღებულია გაერთიანება „კრასნი ტრეუგოლნიკის" ფეხსაცმელი, „კრასნოე ზნამიას" მეტრიკოტაჟეების მიერ დამზადებული სვიტრები და კოსტიუმები.

ბაქო, 9 დეკემბერი. (საქდესის კორ.). ამ დილას ბაქოს საწარმოო საპროექტო-სამშენებლო გაერთიანების „შელფპროექტმშენის" გასასვლელთან გზა დაულოცეს ვაგიფ ასადოვსა და ალექსანდრე სიტიაშინს, გაზშემდუღებელ სერგი ნოვოჟილცევს. ისინი ათტონიანი ავტომაწეთი გაემგზავრნენ სომხეთში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში დასახმარებლად.

სტიქიურ უბედურებას, რომელიც მეზობელ რესპუბლიკას დაატყდა თავს, გულისტკივილით შეხვდნენ აზერბაიჯანის დედაქალაქის მშრომელები. მთელი დღის განმავლობაში ბაქოდან სომხეთში რკინიგზითა და ავტოტრანსპორტით მიდიოდა მედიკამენტებისა და უპირველესი საჭიროების სამრეწველო საქონლის კონტეინერები, საშენი მასალითა და სანოვაგით დატვირთული ვაგონები, სათბობას ცისტერნები. ქალაქის 19 უდიდესმა საწარმომ პირველმა გამოიჩინა ინიციატივა: დახმარება გაეწია დაზარალებულთათვის.

გასამგზავრებლად მზად არის 150-კაციანი კომპლექსური სამშენებლო ბრიგადა, რომელიც რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტში ჩამოყალიბდა. ტრესტის კოლექტივმა სომხეთში გაგზავნა ერთი ვაგონი შიფერი და აზბესტ-ცემენტის მილები, ტონა საღებავი, ათასი კვადრატული მეტრი პარკეტი და საშენი მასალა.

ტრესტმა „მრეწვმშენმექანიზაციამ" სტიქიით ყველაზე მეტად დაზარალებულ რაიონებში გამოცდილი მექანიზატორების თანხლებით გაგზავნა რვა კომპრესორი, ბულდოზერი, ავტომაწე, და სხვა ტექნიკა. „აზტრანსგაზის" № 2 მოძრავი მექანიზებული კოლონიდან აღდგენითს სამუშაოებზე გაემგზავრნენ ბრიგადები, რომლებიც აღჭურვილი არიან მაგისტრალური გაზსადენების სარემონტო სამარჯვებით.

ბაქოს გაერთიანება „აზერელექტროთერმის" კოლექტივმა მეზობელ რესპუბლიკას გაუგზავნა 16 ათასი მანეთის საშენი მასალა საწარმოო კორპუსების საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ელექტროწყალსაცურებლების ასაგებად. გარდა ამისა, საწარმოს მშრომელებმა დახმარების ფონდში გადარიცხეს ხუთი ათასი მანეთი.

კიშინიოვი. კიშინიოვის „ოქტომბრისა" და ფრუნზეს რაიონების ქალთა საბჭოებმა მოუწოდეს ქალაქის დედებს დაიწყონ საბავშვო ნივთების შეგროვება. ყველა საწარმომ და ორგანიზაციამ, რომლებსაც თავიანთი პროფილაქტორიუმები აქვთ, ისინი დაუთმეს სომხეთის დაზარალებულთა ოჯახებს.

რიგა. ლატვიის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სურსათით ეხმარებიან დაზარალებულთ. რეზეკნის სარძეო-საკონსერვო კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა გეგმის გადამეტებით გამოუშვას და სომხეთში გაგზავნოს 100 ათასი ქილა რძის კონსერვი.

ტაშკენტი. ხუთ ტონამდე შესახვევი მასალა, დონორთა სისხლი, მისი გადასხმისათვის საჭირო სისტემები, სამკურნალწამლო პრეპარატები გაიგზავნა თვითმფრინავით სომხეთში. ჩამოყალიბებულია ექიმთა სამი ბრიგადა მოძმე რესპუბლიკაში სამუშაოდ.

პეტროზავოდსკი. სტიქიური უბედურების რაიონში აქედან გაემგზავრა მექანიზატორთა რაზმი, რომელმაც წაიღო ნანგრევების ალებისა და მიწისძვრის შედეგებისაგან ტერიტორიის გაწმენდისათვის განკუთვნილი ტექნიკა. მის შემადგენლობაშია ორი მძლავრი 16-ტონიანი ავტომწე და გაზზენზინსაჭრელი.

ტარტუ. აქ ამოქმედდა დაზარალებულთათვის გასაგზავნი სისხლის აღების პუნქტი, ყალიბდება ქირურგთა ბრიგადა, მოხალისე სტუდენტთა რაზმები, ფუთავენ მედიკამენტებს. ისინი გაიგზავნება დამოყვრებულ ქალაქ ლენინაკანში.

ვოროშილოვგრადი. მოძმე რესპუბლიკის მცხოვრებლებს გაეგზავნათ 10 ათასი კვადრატული მეტრი საფანჯრე მინა, ამდენივე მინაბლოკი, 2,5 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები. თანხლებ დოკუმენტში წითელი ფანქრით აღნიშნულია: „უფასოდ".

იოშკარ-ოლა. საწარმოო გაერთიანება „მარეთტყის" კოლექტივმა გადაწყვიტა მოძმე რესპუბლიკას გაუგზავნოს თითქმის ათი ათასი კუბური მეტრი მერქანი: ძელები, საიატაკე ლარტყები და სხვა დახერხილი ხე-ტყის მასალა. თუმცა წარმოების გეგმა დაძაბულია — მხარე ადგას საბინაო მშენებლობის ტემპის დაჩქარების კურსს — პირველ რიგში ჩვენს პროდუქციას გავუგზავნით იმათ, ვისაც იგი ახლა ყველაზე მეტად სჭირდება. ხე-ტყის დამამზადებლებს მხარში ამოუდგნენ რკინიგზელები, რომლებმაც პირობა დადეს, რომ უზრუნველყოფენ სასწრაფო ტვირთის დაუყოვნებლივ გაგზავნას.

ჩერკასი. ასობით ახალგაზრდა მცხოვრებმა ჩააბარა სისხლი დაზარალებული სომხეთისათვის. უახლოეს დღეებში იქ გაემგზავრებიან ექიმთა და მშენებელთა მოხალისე რაზმები. მთელ ოლქში მოეწყობა კომკავშირული შაბათობები, რომელთაგან მიღებული სახსრები გადაირიცხება დაზარალებულთა დახმარების ფონდში. პროფკავშირთა საოლქო საბჭომ უკვე გადარიცხა 100 ათასი მანეთი, კომკავშირის საოლქო კომიტეტმა — 25 ათასი.

სარატოვი. მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად სპეციალური რეისით გაემგზავრა ექიმთა დიდი ჯგუფი. ორ დღეღამეში სარატოველებმა ერევანში გაგზავნეს 30 კაცამდე პერსონალი და თითქმის 10 ათასი მანეთის მოწყობილობა და მედიკამენტები.

სოკოლი (ვოლოგდის ოლქი). შეიქმნა კომკავშირული რაზმი გაერთიანება „ვოლოგდახეტყმრეწვის" საწარმოებში დასაშლელი ფინური სახლების დასამზადებლად, რომლებიც სომხეთში გაიგზავნება. ასეთივე რაზმები იქმნება სხვა ხის დამამუშავებელ საწარმოებშიც. (საქდესი).

უდიდესი გულისტკივილით

სომეხი ხალხის ტრაგედიამ უდიდესი გულისტკივილი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. პლანეტის ყველა კუთხიდან მოდის უცხოეთის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების წერილები და დეპეშები, რომლებშიც ისინი თანაუგრძნობენ არნახული ბუნებრივი კატასტროფის გამო დაზარალებულთ.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა კ. გროსმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბრუნო ფ. შტრაუბმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ნემეტმა მ. ს. გორბაჩოვსა და ნ. ი. რიჟკოვს გამოუგზავნეს სამძიმრის დეპეშა საბჭოთა სომხეთში მომხდარი საშინელი სტიქიური უბედურების გამო.

ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ ღრმა სამძიმარი გამოუცხადა საბჭოთა ხალხს სომხეთში მიწისძვრის ტრაგიკულ შედეგებთან დაკავშირებით. საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია, რომ ნიკარაგუაში უდიდესი მწუხარებით აღიქვეს ცნობა აურაცხელი მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის შესახებ, რაც დამანგრეველმა მიწისძვრამ გამოიწვია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა მ. ს. გორბაჩოვს ღრმა სამძიმარი გამოუცხადა უმძიმესი უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა ხალხს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა სამძიმარი უთხრა მ. ს. გორბაჩოვს სომხეთში მომხდარი მიწისძვრის გამო. ნიუ-იორკიდან საბჭოთა ხელმძღვანელის გამოფრენის წინ რ. რეიგანმა ტელეფონით საუბრის დროს თქვა: „მე კარგად მესმის, რომ სამშობლოში თქვენი დაბრუნება და მიწისძვრის შემდეგ საკუთარ ხალხთან ყოფნა აუცილებელია. მე ვლაპარაკობ ყველა ამერიკელის სახელით, და გამოვთქვამ ჩემს პირად უდიდეს სამძიმარს მიწისძვრის შედეგად ადამიანთა დაღუპვის გამო. ჩვენ ვიცით, რომ ძალიან ბევრნი დაიღუპნენ. და თუ შევძლებთ რაიმე დახმარების გაწევას ორმხრივ საფუძველზე ან საერთაშორისო ორგანიზაციათა მეშვეობით, გთხოვთ, მაცნობოთ". სომხეთში მომხდარი ტრაგიკული ამბების გამო მ. ს. გორბაჩოვს სამძიმარი უთხრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეულმა ჯ. ბუშმა. „ამერიკელ ხალხს, — აღნიშნა მან, — სურს დახმარების ხელი გაუწოდოს იმათ, ვინც ახლობლები დაკარგა".

ამერიკის წითელმა ჯვარმა 50 ათასი დოლარი გაუგზავნა ერთდროული დახმარების სახით სომხეთში მიწისძვრის გამო დაზარალებულთ და სსრ კავშირში გზავნის სამედიცინო მოწყობილობასა და პირველი საჭიროების საგნებს.

კანადის პრემიერ-მინისტრმა ბ. მალრუნიმ მ. ს. გორბაჩოვისათვის გამოგზავნილ წერილში ღრმა სამძიმარი გამოთქვა საბჭოთა ხელმძღვანელისა და მთელი საბჭოთა ხალხის მიმართ საშინელი სტიქიური უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა სომხეთს.

სამძიმრის დეპეშები სომხეთში მიწისძვრასთან დაკავშირებით გამოგზავნეს დანიის ტახტის მემკვიდრე უფლისწულმა ფრედერიკმა; დანიის პრემიერ-მინისტრმა პ. შლიუტერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა უფე ელემან-ენსენმა.

„უდიდესი ტრაგედია" უწოდა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა რ. ჰოუკმა სომხეთში მომხდარ მიწისძვრას. მან მ. ს. გორბაჩოვის სახელზე გამოგზავნა წერილი, რომელშიც „ავსტრიის მთავრობისა და ამ ქვეყნის ხალხის თანაგრძნობას გამოთქვამს და აცხადებს, რომ თუ საჭირო იქნება გაუწევს დახმარებას".

იაპონია მზად არის დაეხმაროს სომხეთში დამანგრეველი მიწისძვრისაგან დაზარალებულთ, განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა, მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა კეიძო ობუტიმ. სამძიმრის დეპეშებში, რომლებიც იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ნ. ტაკესიტამ გამოუგზავნა მ. ს. გორბაჩოვს და საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. უნომ ე. ა. შევარდნაძეს, აღნიშნულია, რომ იაპონიის მთავრობა მზად არის გასწიოს ყველა საჭირო დახმარება.

მაროკოს მეფემ ჰასან II-მ მ. ს. გორბაჩოვს სამძიმრის დეპეშა გამოუგზავნა სომხეთში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით. „დიდად აგვაღელვა ცნობამ ტრაგედიის შესახებ, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა სომხეთს და მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვია", — ნათქვამია დეპეშაში. მასში გამოთქმულია გულწრფელი თანაგრძნობის სიტყვები საბჭოთა ხალხისადმი მეფისა და მაროკოელი ხალხის სახელით, „რომლებიც დიდად წუხან მომხდარი კატასტროფის გამო".

დახმარების ხელს უწვდიან...

ინგლისი

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის ზღვისმიერი ტერიტორიების განვითარების სახელმწიფო მინისტრმა კრისტოფერ პეტენმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მზად არის, დაუყოვნებლივ დახმარება აღმოუჩინოს მიწისძვრისაგან დაზარალებულ სომხეთს.

ბრიტანეთის წითელმა ჯვარმა მოუწოდა საზოგადოებრიობას დაიწყონ თანხების შეგროვება საბჭოთა რესპუბლიკის დახმარების ფონდში. ჩვენ წითელ ჯვარს განვუცხადეთ, რომ მზად ვართ დაუყოვნებლივ გამოვყოთ 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი, რათა დაიწყონ დახმარების ოპერაციები. საჭიროების შემთხვევაში მივცემთ დამატებით თანხებს.

საბჭოთა მხარის თხოვნით, თქვა პეტენმა, ამჟამად წყდება დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავის „ჰერკულესის" მეშვეობით სომხეთში მძლავრი მიწისსათხრელი ტექნიკის ჩატანის საკითხი. საბჭოთა კავშირში უკვე ჩავიდა ინგლისელ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც აღჭურვილია ნანგრევებში მოხვედრილი ადამიანების აღმომჩენი სპეციალური დეტექტორებითა და ვიბროფონებით, აგრეთვე მაშველთა საერთაშორისო კორპუსის 16 დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტი.

ავსტრია

ვენა. ავსტრიის ვიცე-კანცლერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ალოის მოკმა მიიღო სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში გ. ს. შიკინი. საუბრისას განიხილეს ავსტრიის მხრივ შესაძლო დახმარების საკითხი. კერძოდ, ითქვა, რომ კატასტროფის რაიონში გაიგზავნება სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი ხუთი სამთო-მაშველი რაზმი. მოკმა განაცხადა, რომ ავსტრიის მთავრობა მომავალ სხდომაზე ორშაბათს, 12 დეკემბერს განიხილავს დახმარების აღმოჩენის შემდგომი ღონისძიებების საკითხს.

აქ გამოაცხადეს, რომ ავსტრიის ორგანიზაციამ „კარემ" უკვე გაგზავნა კატასტროფის რაიონში 50 ათასი სპეციალური ამანათი. ბანკში გახსნილია სპეციალური ანგარიში სომხეთში მომხდარი კატასტროფის მსხვერპლთა დასახმარებლად სახსრების შესაგროვებლად.

გფრ

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. დ. გენშერმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა კონტაქტს დაამყარებს საბჭოთა კავშირთან შესაძლო დახმარების მოცულობის თაობაზე. **გერმანიის წითელი ჯვრის საზოგადოებამ უკვე გამოყო პირველი რიგის დახმარების სახით 1000 კარავი და 20 ათასი საბანი. აგრეთვე 200 ათასი დასავლეთგერმანული მარკა. გარდა ამისა, საზოგადოებამ გაგზავნა მიწისძვრის რაიონში მაშველთა რაზმი სპეციალურად დაგეშილი მაძებარი ძაღლებით.**

ბანკებსა და შემნახველ სალაროებში გახსნილია წითელი ჯვრის სპეციალური ანგარიში. დაზარალებულთა დახმარების ფონდში უკვე შეტანილია სოლიდური თანხები.

იტალია

რომი. რომის ჩამპინოს აეროპორტიდან გაფრინდა იტალიის ორი სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავი „ჰერკულესი", რომლებმაც სომხეთის რესპუბლიკაში ჩაიტანეს პირველი საჭიროების ნივთები, მედიკამენტები.

ჩავიდა აგრეთვე სპეციალისტთა და ტექნიკოსთა ჯგუფი, რომლებმაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ სტიქიური უბედურების შედეგების აღმოფხვრაში, აგრეთვე ადგილზე იმის დასაზუსტებლად, თუ რა დამატებითი დახმარების გაწევა შეიძლება დაზარალებული რაიონებისათვის.

სსრ კავშირის იტალიის საელჩოში, საქდესის რომის განყოფილებაში წარამარა რეკავენ იტალიელები, რომლებიც თავიანთ გულისტკივილს გამოთქვამენ კატასტროფის გამო და სთავაზობენ დახმარებას, მათ შორის არიან ექიმები, მეწარმეები, თარჯიმნები, მშენებლები.

პოლონეთი

ვარშავა. პოლონეთის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის წევრებმა წინადადება წამოაყენეს მშენებელთა ბრიგადები და ექიმები გაგზავნონ მიწისძვრის რაიონში.

თანაგრძნობა და დაუყოვნებლივ დახმარების სურვილი გამოთქვა აგრეთვე პოლონეთის წითელი ჯვრის საზოგადოებამ, რომელმაც გადაწყვიტა სტიქიური უბედურების მსხვერპლთ გაუგზავნოს 10 მილიონი ზლოტი. ვროცლავიდან უკვე გაიგზავნა სომხეთის სს რესპუბლიკაში საბნები და ლოგინის თეთრეულის კომპლექტები. დილიდანვე ვარშავაში იღებენ მოხალისე დონორთა სისხლს, რომელიც მიწისძვრის დროს დაშავებულებს გაეგზავნება.

დეპეშები ნომერში

საბჭოთა კავშირ-იტალიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების სახელზე, იტალიიდან მოვიდა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„გიცხადებთ თანაგრძნობას და სოლიდარობას სომეხი ხალხის ტრაგედიის გამო. მზად ვართ პრაქტიკულად დაგეხმაროთ. ჩვენთან მივიღებთ და მოვუვლით დაზარალებული ოჯახების ბავშვებს. გამოვგზავნით ექიმებს, წამლებს. ჩვენი თანადგომა რომ მიზანმიმართული და შედეგიანი იყოს, გთხოვთ, გვაცნობოთ, თუ უპირველესად როგორი პრაქტიკული დახმარება სჭირდება დაზარალებულ სომეხ ხალხს".

დეპეშას ხელს აწერს იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პალერმოს განყოფილების პრეზიდენტი ჯაკომო ბარალი.

დეპეშა მოვიდა აგრეთვე სიენასთან დაძმობილებული ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ბელჯირატედან, რომელშიც გამოთქმულია ღრმა მწუხარება და თანაგრძნობა სომეხი ხალხის ტრაგედიის გამო.

ქალაქის მერის ლუიჯი პრინის გარდა, დეპეშას ხელს აწერენ ბელჯირატეს სხვა ხელმძღვანელებიც: ლუჩანო ბილინი, ორტენზიო კასტელეტა და ლუიჯი ანჯერეტი.

ამერიკის ტელეკომპანია სი-ბი-ესი იუწყება: საბჭოთა ხელისუფალთა წინაშე დგას პრობლემა, რომელიც ჯერჯერობით არც ერთ ქვეყანას ხრ გადაუწყვეტია, — როგორ სწრაფად და საკმაოდ ფრთხილად აიღონ სახლების ნანგრევები, რათა გადაარჩინონ ცოცხლად დამარხული ათასობით ადამიანი.

ბოლო წლების მიწისძვრები მოწმობს, რომ ნანგრევებში მოყოლილმა ადამიანებმა უსმელ-უჭმელად შეიძლება იცოცხლონ ორი და სამი კვირაც კი. მექსიკაში მომხდარი მიწისძვრის დროს ყველა გააოცა ძუძუთა ბავშვებმა, რომლებიც ნანგრევებიდან მხოლოდ მეორე კვირას ამოიყვანეს და ყველანი ცოცხლები იყვნენ.

აშშ. ამერიკელთა ღრმა თანაგრძნობა გამოიწვია სომხეთში მომხდარმა ტრაგედიამ. ამ დღეებში ბევრ ქალაქში ეწყობა დაზარალებულთა დასახმარებლად სახსრების შეგროვება. სურათზე: მიმდინარეობს ფულის შეგროვება გლენდეილში (კალიფორნიის შტატი).



ჩვენ შენთანა ვართ!

მეც გლოვის დღე მაქვს! მძიმე წუხილის
დღე.
გულის გულს მწვავს შენი იარა...
რაზდანის ტალღამ ხათქით, ქუხილით
მკერდზე ტკივილად გადამიარა.

დილის ნამივით მუდამ სპეტაკი
მიხმობს სევანი და აშტარაკი,
ნალვერდალივით მდალავს სპიტაკი,
ქალაქი — მიწის ულეთო ზვარაკი.

დავტირი აკვნებს — ხვალის იმედებს,
სისხლი დამდის თუ ცრემლები მწვეთავს...
ასე ულმერთოდ როგორ გვიმეტებს
მიწა, რომელსაც ვეძახით დედას...

ვაი, რა მძიმე ხვედრი გვარგუნა...
(თბილისის მიწაც შეტოკდა იმ დღეს).
შენს წყლულზე ჩემს გულს ვადებ სალბუნად
და ყველა გზაზე შენი ხმა მიმდევს...

მტკივა, მე შენი ტკივილი მტკივა,
მეზობელო და ძმაო მარადო,
შენსავით მცხელა, შენსავით მცივა,
შენს ცეცხლში ვდგავარ უმუზარადოდ.

ჩვენ შენთანა ვართ!
ხვალის გულნათელ
დაბა-სოფლებს და ქალაქებს ვხედავ, —
მზე დამშვენდება მალალ გუმბათებს,
აკვანთან ტკბილად იმღერებს დედა.

ჯეჯილს ჟუჟუნა წვიმა დანამავს,
ვარდს ეპკურება ცვარი ციერი...
ჩვენ შენთანა ვართ!
ჩვენ შენთანა ვართ,
ჰაოს, ალსდექი და იძლიერე!

თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

10. XII. 1988.

პატივცემულო რედაქციავ, გთხოვთ კუთვნილი ჰონორარი გადარიცხოთ სტიქიით დაზარალებული სომხეთის დახმარების ფონდში.

მოთხრობა

ასტღიკ

...

„— მოვდივარ!.."

ვარდისფერ ქალაქში უკვე ალარაფერი მეუცხოება; ფილტვებში ჩამდის ნაცნობი ყვავილების სურნელებით გაჯერებული ჰაერი; ასე მგონია, ამ მალალ, ბროლივით გამჭვირვალე ლურჯ ცას შევცქერი დაბადებიდან; ამ ვარსკვლავებსვე ვესაუბრები ფიქრით, რადგან ძუძუმტეებად გავჩენილვართ ცისქვეშეთში, აქ გვეგულებიან ლვიძლი და-ძმებივით შემომტკიცებული მეგობრები აშხენ და გეორქ, სილვა და აშოთ, სირანა და ჰრანტი... რომელიმე მათგანი ახლა ქუჩაში რომ შემეფეთოს, მოულოდნელობის სიხარული და საყვედური ერთდროულად გამოეხატება სახეზე:

— ვა, ახპერ, ამოთ ჩუნის?!*.

ეს საყვედური იმის იქნება, ჩამოსვლა წინასწარ რომ არ ვა-

...

ასტღიკ — ციური ვარსკვლავო, ჩემი სიჭაბუკის უცხო ზმანებავ, სადა ხარ ახლა?!

გახსოვს ჩვენი ხმაურიანი საერთო ეზო?!

გაგონდება კია შენთან თანაშეზრდილი აწოწილი ბიჭი, გაბზეკილ კიკნებში რომ ჩაგაფრინდებოდა და ყურის წამლებად გასივლებდა?

გახსოვს?..

რომელი ერთი...

ყველაზე დაუვიწყარი მაინც ის დღე იყო, როცა ჩემს წინ სისხამ დილით გამაოგნებლად და მომნუსხველად ჩაიარა უკვე სხვა გოგომ — გაზაფხულივით სალუქ ვარდისფერ კაბაში გახვეულმა, ამაყად მკერდწამოზიდულმა, თვალებში სხივჩამდგარმა, ფეხადგმულმა ცისკრის ვარსკვლავმა, ერთბაშად მართლაც ასტღიკად რომ იქცა.

და მე სათნო მოხუცს გრიგოლ გრიგორიანს, მამაჩემის განუყრელ მეგობარს, ჩემთვი-

...

ლოდნელად წინ რომ გადაგიდექი და შეგლალადე:

„— მერნიმ ხუჭუჭ მაზერიდ,
მერნიმ კამარ უნქერიდ"...*

— მამაჯა-ა-ან! — მოიხოკე ვარდისფერი ლაწვი და ყველაფერი დედაშენს ჩაუკაკლე სომხურად.

მაკრუი ბიცოლამ გაიცინა და შემდეგ მე მომიბრუნდა, საქციელწამხდარსა და დაბნეულს:

— ბალიკ-ჯან, არი ჰოს!

გაუბედავად მივუახლოვდი. მან კი მკერდზე მიმიხუტა ჩვეულებისამებრ და შუბლზე მაკოცა. შემდეგ განჯინა გამოალო და პირში ჩამიდო გოზინაყი, რომელსაც მასზე უკეთესად ვერავინ ამზადებდა.

იმ დღიდან, ასტღიკ, რატომლაც მარიდებდი ჯილა თვალე-

...

* ვა, ძმაო, არა გრცხვენია?!

* შენს ხუჭუჭ თმას
ვენაცვალე,
გადამშვილდულ შენს შავ
წარბებს"...

...

ილია რურუა.

- ფაქტი
- მოვლენა
- კომენტარი

...

სახელოვან თანამემამულეს ეძღვნება

● რუბრიკით „ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი" გამომცემლობა „ნაკადულმა" დასტამ-

...

ბა ქეთევან ნუცუბიძის მონოგრაფია სათაურით „შალვა ნუცუ-

...

რებით აშენებულმა საბავშვო ბალმა გადაჭრა პატარების „შრომითი მოწყობის" პრობლემა.

აქ დიდი სახსრები ხმარდება სოციალურ საჭიროებას. დაბაში ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ოთხსართულიანი საცხოვ-

...

რებელი სახლი. არის აქ აგრეთვე სამუსიკო სკოლა, საყოფაცხ-

...

● გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოვიდა ყოველწლიური ალმანახის „იარბუხის" მორიგი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია გერმანელი და ქართველი ლიტერატორების ნაშრომები. ამ ალმანახში საქართვ-

...

ელ გამოშვებაში.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საკდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

მსოფლიო ჩემპიონატი

აქტიურ ჭადრაკში

ჩიბურდანიძე, იოსელიანი და სხვები

დღეს მექსიკის ქალაქ მატაცლიწში იწყება მეტად საინტერესო, საჭადრაკო სამყაროსათვის სრულიად ახალი ღონისძიება — მსოფლიო პირველობა აქტიურ (სწრაფ) ჭადრაკში. მას ბევრი მომხრე ჰყავს და ბევრი მოწინააღმდეგეც, მაგრამ ერთი რამ ცხადია, — ასეთი ჭადრაკი არავის ტოვებს გულგრილს. ეს თუნდაც მხოლოდ წელს გამართულმა მრავალრიცხოვანმა საერთაშორისო შეჯიბრებებმა (მათ რიცხვში ევროპის ჩემპიონატმა) დაადასტურა.

რით გამოირჩევა აქტიური (სწრაფი) ჭადრაკი, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი ჭადრაკისაგან?! არის ერთადერთი, მაგრამ ძალზე პრინციპული განსხვავება — სწრაფ ჭადრაკში მოთამაშეს მთელი პარტიისათვის მხოლოდ ნახევარი საათი ეძლევა. აქ არ არის არც პარტიის გადადება, არც მწვრთნელთა „ინსტიტუტი" — ყველაფერი დამოუკიდებლივ, დაფასთან უნდა გადაწყვიტო.

...

მის მოყვარულებს ასეთ ჭადრაკს საერთოდ არ ეტანებიან. მის მოწინააღმდეგეთა შორის უწინარესად მსოფლიო ჩემპიონს გარი კასპაროვს ასახელებენ, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის, კასპაროვს არც ევროპის ჩემპიონატში მიუღია მონაწილეობა და ახლაც მექსიკაში არ ჩავიდა (ეს ფიდეს პრეზიდენტ ფლორენსიო კამპო-

...

მანესთან მისი კონფლიქტის გამო მოხდა), მაგრამ შარშან „სწრაფ ჭადრაკში" მატჩი მოუგო ნაიჯელ შორტს, წელს კი ვლასტიმილ ჰორტს.

ახლა ზოგი რამ იმის შესახებ, თუ როგორი სისტემით გაიმართ-

...

პირველ სამ დღეს ყველა ეს მონაწილე ითამაშებს შვეიცარული სისტემით (13 ტურად) გამართულ შეჯიბრებაში. ამ შეჯიბრების მიზანია 8 უძლიერესი მონაწილის გამოვლენა, რომლებიც მსოფლიო პირველობის პრეტენდენტებად ჩაითვლებიან. შემდეგ წილისყრა გამოავლენს 4 მეოთხედფინალურ წყვილს. მეოთხედ-

...

ფინალი ერთი დღის განმავლობაში უნდა მოეწყოს. აქ 4 პარტიაა და გამარჯვებულად ის ცხადდება, ვინც 2,5 ქულას მოაგროვებს. 4 გამარჯვებული დიდოსტატი მომდევნო დღეს ნახევარფინალში განაგრძობს ბრძოლას. აქაც ოთხი პარტია უნდა გათამაშდეს. ერთი

...

8 პარტიას მოიგებს, მსოფლიო ჩემპიონის წოდებას მიიღებს სწრაფ ჭადრაკში. თუ ისე მოხდა, რომ ექვსი გამარჯვება ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა, მაშინ ჩემპიონად ის ცხადდება, ვინც პირველად მოაგროვებს 12,5 ქულას.

მექსიკაში პირველი პრიზის ძირითად პრეტენდენტად სწრაფი ჭადრაკის დიდი სპეციალისტი ანატოლი კარპოვი ითვლება. კარ-

...

სპორტის ამბები

მოკლედ

● ჩოგბურთი. მელბურნში მთავრდება ფედერაციის თასის გათამაშება. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი ანგარიშით 2:1 და ფინალში გავიდა. ერთეულთა შეხვედრებში ლარისა სავჩენკომ მოუგო სილვია ხანიკს,

...

● ჭადრაკი.

...

თბილისი დიდი ძიუდოს მოლოდინში

17-21 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე ორი ტატამი დაეთმობა სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატს. ეს იქნება სტუდენტთა რიგით მეათე ჩემპიონატი, ხოლო ქალები პირველად გაითამაშებენ უნივერსიადის ჯილდოებს. ქალებისთვის და ვაჟებისთვის გათვალისწინებულია მედლების რვარვა კომპლექტი. 17 დეკემბერს საღამოს შეხვედრების წინ გაიმართება ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალი.

...

თექვსმეტი ქვეყნის 56 არბიტრი. მსაჯთა კორპუსს მეთაურობს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ანზორ ქიბროწაშვილი.

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები 30 ნოემბრიდან ვარჯიშობს თბილისში ასკ-ს სპორტულ კომპლექსში, ნაკრებს სათავეში უდგას ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ნევზოროვი, სხვებთან ერთად მას ეხმარებიან — დილარ ხუბულავა, ბორის გოგიჩაშვილი და ომარ ქუმსიაშვილი. ამჟამად ჩემპიონატისათვის ემზადება 45 სპორტს-

...

რედაქტორი ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია — კვირა, 11 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 10.30 — „მალვიძარა". 11.00 — XIX საკავშირო პარტკონფერენცია. გარდაქმნის რეალიზმი „საეკონომიკო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 — კინოფილმი. 12.00 — „ნაშთი დიდეებისა". 12.45 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.15 — საკვირაო გამოფენა. 13.20 — ქართული ... „ვესტნიკი". 15.40 — საკვირაო გამოფენა. 15.45 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.15 — „თბილისი და თბილისელები". სატელევიზიო ეურნალი. 17.25 — მშობლიურ მხარეში. 17.55 — „ჯადოსნური ეკრანი". 18.10 — „ჯანმრთელობა". სატელევიზიო პროგრამა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მოამბე. 20.15 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში. თბილი-

...

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.15 — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — მულტფილმი „პეტია და წითელქუდა". 10.20 — „სპორტლოტო". 10.30 — მალვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭო- ... ვიზია). 13.25 — ფოტოკონკურსი „მიყვარხარ, სიცოცხლევ!" 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. 15.45 — ფილმი — ბავშვებს. „მე თქვენი ნათესავი ვარ". 16.50 — მულტფილმი. 17.00 — შეხვედრა ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებელთან, ლატვიის სსრ № 52 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტო- ... რისო პანორამა. 19.45 — სიმღერა-88. 19.55 — კუბური მხატვრული ფილმი „ბოროტმოქმედება ხომალდზე". I და II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მღერის მ. მაგომაევი. 0.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ჩვენი ბაღი. 9.50 — „ვარსკლავი". სამეცნიერო-შემეცნებითი ჟურნალი მოსწავლეებისათვის. 10.35 ... ბის ცხოვრება. თანამედროვე კრისტალოგრაფიის ფუძემდებელი ე. ს. ფიოდოროვი. 13.40 — საშინაო აკადემია. 14.10 — პედაგოგიკა ყველასათვის. II კურსი. 14.25 — ვისაუბროთ რუსულ კულტურაზე. პირველი ციკლი. დეკაბრისტები. 15.00 — მუსიკამდე და ნაშუადღევს. 16.55 — „ძორეული და ახლობელი სიმღერა". გ. პონომარენკოს სიმღერები. 17.30 — კინოპანორამა (19 ნოემბრის გადა- ... მენტური კინოს ფესტივალის პრიზიორი ფილმები. „მარიამი". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — კინოჟურნალი „ეკრანზე ციმბირი". 21.25 — ხელბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასი. მერვედფინალი. ვაჟები. მინსკის „სკა" — იუგოსლავიის „მეტალოპლასტიკა". 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „მძულხარ". 23.55 — ახალი ამბები.

...

კოოპერაციული ბანკი

...

რესპუბლიკური კავშირი. ქ. თბილისი, ლენინის მოედანი № 7, ოთახი 429, ტელ: 99-80-49.

ცეკავშირთან არსებული კოოპერატივების რესპუბლიკური კავშირი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05646 საქართველოს კპ ცკ-ს გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13